სადოქტორო პროგრამის დასახელება: საქართველოს ისტორია / **History of Georgia**

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ვაჟა კიკნაძე

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
ა) მიზანი:
სადოქტორო პროგრამა საქართველოს ისტორიაში მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან – XX ს. ჩათვლით, ანუ მთლიანად საქართველოს ისტორიას. პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შემდეგ პრობლემატიკას: ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება და სახელმწიფო მართვის ინსტიტუტები, ქართული მენტალიტეტი, იდენტობრივი მახასიათებლები, ეკლესიის მართვა-გამგეობა და სახელმწიფოსთან ურთიერთობა, ქართული სახელმწიფოს თანაარსებობის ფენომენი უცხო (ძირითადად მუსლიმანურ) სამყაროსთან. ყურადღება გამახვილდება საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის პრობლემატიკაზეც.

ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონე ითხოვს სრულიად ახლებურად გაანალიზდეს ისტორიისა და კერძოდ საქართველოს ისტორიის კვლევისა და სწავლის მეთოდები, არსი, მიზანი, შესაძლო შედეგები. თვალშისაცემია განსხვავება სწავლების საბჭოთა, პოსტსაბჭოთა და დასავლურ მოდელებს შორის. საქართველოს ისტორიის (ისევე როგორც სხვა საგნების) სწავლებასა და კვლევაში ჭარბობდა მკაცრი იდეოლოგიური დატვირთვა და ფაქტობრივი მასალა. სწავლებისა და კვლევის დასავლურ მოდელში კი, პრიორიტეტულია საკითხისადმი კონცეფტუალური მიდგომა, ღრმა ანალიზი, ისტორიული პროცესის მრავალმხრივი გააზრება, თვითოეული ერის ისტორიის ერთიან საკაცობრიო ჭრილიდან დანახვა და ა. შ.

მიგვაჩნია, რომ უნდა მოხდეს ორივე მოდელის შერწყმა, რა თქმა უნდა, იდეოლოგიური ფაქტორის გამორიცხვით. სადოქტორო პროგრამაში ყურადღება გამახვილდება: თანამედროვე თეორიების, მეთოდოლოგიების, ისტორიული განვითარების კანონზომიერების შესწავლა-დაუფლებაზე. საქართველოს ისტორიის კვლევისას დოქტორანტმა პრაქტიკულად უნდა გამოიყენოს კვლევის სხვადასხვა მეთოდი: სისტემური, სტრუქტურულ-ფუნქციონალური, შედარებითი ანალიზის და ა. შ. სადოქტორო პროგრამის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მიგვაჩნია, აგრეთვე, საქართველოს ისტორიის კონკრეტული პრობლემატიკის შემდგომი კვლევა და დაუფლება. მიგვაჩნია, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დოქტორანტის უშუალოდ ისტორიულ წყაროსთან ურთიერთობას. ამასთან, გარდა ქრესტომატიური წყაროებისა, უნდა გაანალიზდეს ნაკლებად ცნობილი ან ახლად გამოვლენილი წყაროები.

მესამე მიმართულება იქნება ახალი, განმაზოგადებელი თემატიკის შემოტანა სადოქტორო პროგრამაში. მაგალითად: საქართველოს ისტორიის ადგილი მსოფლიო ისტორიაში, საქართველოს ისტორია, როგორც თვითმყოფადი, მაგრამ მსოფლიო ისტორიის განუყოფელი ნაწილი. ერთიდაიგივე პრობლემის წარმოჩენა რამდენიმე თეორიული კუთხით. ტოლერანტური მიდგომა სხვა აზრისადმი; ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი რეალური პატივისცემის დანერგვა. კონკრეტული ისტორიული ეპოქის შესწავლისას, მისი ორგანური კავშირის წარმოჩენა წინა და შემდგომ ისტორიულ პერიოდთან, საქართველოს ისტორიის ახლებური პერიოდიზაციის ჩვენება; საქართველოს მოსახლეობის ყოფითი, სამეურნეო, ფსიქოლოგიური პრობლემების წარმოჩენა (სხვადასხვა ეპოქაში) და ა. შ. კიდევ ერთ მიგვაჩნია პროგრამის ათვისების პროცესში კრიტიკული აზროვნების, წყაროებისა და ისტორიოგრაფიის მიმართ კრიტიკული მიდგომის დამკვიდრება.

ბ) დოქტორანტის სწავლების შედეგები და კომპეტენცია:

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის ათვისების შემდეგ, დოქტორანტი აიმაღლებს როგორც მკვლევრის კვალიფიკაციას, ასევე ექნება ამ საგნის სისტემური ცოდნა; ეცოდინება ისტორიული განვითარების ახალი კონცეფციები. დოქტორანტი ისწავლის პრობლემის ახლებურად დანახვასა და შეფასებას, წყაროს ახლებურად წაკითხვას; დოქტორანტი იქნება მრავალმხრივ მომზადებული, მაღალი დონის სპეციალისტი. მას გამოუმუშავდება კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარი. პრაქტიკულად დაეუფლება კვლევის ახალ თეორიებსა და მეთოდებს. ის ადვილად ჩაწვდება ისტორიის, რელიგიის, კულტურის პრობლემებს, ეცოდინება მათი გადაჭრის გზები. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომი კი, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოვლინების დადასტურება იქნება.

ცოდნა და გაცნობიერება:
სწავლის შედეგად დოქტორანტი ეუფლება მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, საქართველოს ისტორიის მეცნიერული ანალიზის ხერხებსა და მეთოდებს; ეცნობა ძირითად პრობლემებს და განვითარების ტენდენციებს საქართველოს ისტორიაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფაქტებისა და მოვლენების გააზრებას შესაბამის სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში. ამ ცოდნას იგი იყენებს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

პრაქტიკული უნარები:
საკვლევი და ასათვისებელი მასალის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, საკითხის იდენტიფიცირება, მასალის მოძიება, სისტემატიზაცია, ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერება, კვლევის შედეგების პრეზენტაცია ზეპირი და წერილობითი ფორმით. დოქტორანტი ისწავლის კვლევის და წყაროების წაკითხვის პრაქტიკულ მეთოდებს, შეიძენს ახალ სამეცნიერო უნარებს. გამოუმუშავდება კრიტიკული აზროვნების და ანალიზის უნარი. ის ღრმად ჩაწვდება არა მარტო საქართველოს ისტორიის, არამედ მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საქართველოს ეკლესიის და კულტურის პრობლემებს; მის მიერ შექმნილი საკვალიფიკაციო ნაშრომი მიღებული თეორიული ცოდნისა და უნარების პრაქტიკული დადასტურება იქნება.

ტრანსფერული უნარები:
წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა დოქტორანტს სამეცნიერო და სასწავლო პროცესში მონაწილეობის, პროფესორის ასისტენტობის საფუძველს აძლევს. სადოქტორო სემინარში ჩართვის გზით, დოქტორანტი განიმტკიცებს დროის დაგეგმვისა და ორგანიზების, სამუშაოს დაგეგმვის, პრიორიტეტების გამოყოფის, აუდიტორიასტან ურთიერთობის უნარს. თეორიული და პრაქტიკული სწავლების შედეგად, დოქტორანტი შეიძენს საჯარო ლექციის წაკითხვის უნარს, ისწავლის სწორ და ლოგიკურ მეტყველებას და აზროვნებას, ინდივიდუალური მუშაობის უნარს, პრობლემების დასმის და გადაჭრის უნარს.

დასაქმების სფეროები:
პროგრამა დამთავრებულ დოქტორანტს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს საქართველოს ისტორიის მასწავლებლად, ლექტორად, მეცნიერ-მუშაკად. მას შეეძლება აგრეთვე, იყოს ექსპერტი საქართველოს ისტორიის, რელიგიის, კულტურის სფეროებში. შესაბამისად, იმუშაოს სახელმწიფო, კერძო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:
- დოქტორანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.
- ევროპულ ენას (ინგლისურს, გერმანულს, ფრანგულს), B-2 დონეზე ცოდნა.

სასწავლო კომპონენტი:

- სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი.
- მეცნიერების მენეჯმენტი – 5 კრედიტი.
- პროფესორის ასისტენტობა – 15 კრედიტი.
- დოქტორანტის 2 კოლოკვიუმი – 10 კრედიტი.
- არჩევითი საგნები – 25–30 რედიტი.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო ნაწილს აქვს ორგვარი დატვირთვა: კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება და მეორე მხრივ, სპეციალიზაცია არჩეულ საგანში. დოქტორანტს შესაძლებლობა ეძლევა საკუთარი კვლევის ინტერესიდან გამომდინარე, შემოთავაზებული მიმართულებიდან აირჩიოს მისთვის ყველაზე საჭირო სფერო. დოქტორანტს შეუძლია სასწავლო კრედიტი აირჩიოს ან მოცემული არჩევითი საგნებიდან ან მომიჯნავე სხვა სადოქტორო პროგრამებიდან. დოქტორანტს შესაძლებლობა აქვს სასწავლო კრედიტი აირჩიოს აგრეთვე, მომიჯნავე, სხვა სადოქტორო პროგრამებიდან (მაგალითად კულტურის მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამიდან, ევროპის ისტორიის პროგრამიდან და ა.შ.)

სამეცნიერო კვლევის მატერიალური ბაზა:
დოქტორანტის სამეცნიერო ბაზას უზრუნველყოფს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სამკითხველო; კომპიუტერული ტექნიკა (თსუ II კორ.), რომელიც განთავსებულია საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის კაბინეტში, ასევე, დოქტორანტურის პრაგრამას უზრუნველყოფს სსიპ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა.

დოქტორანტების რაოდენობა:
შესაძლებელია მაქსიმუმ 6 დოქტორანტის მიღება.

პროგრამაში ჩართული პროფესორები:
პროფ. ვ. კიკნაძე - ისტორიის მეცნიერებეთა დოქტორი, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სრული პროფესორი (პროგრამის ხელმძღვანელი).

პროფ. მ. ჩხარტიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის სრული პროფესორი.

პროფ. ვ. სილოგავა - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორი.

პროფ. დ. შველიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ასოციერებული პროფესორი.